

რიმანის ზედაპირებზე ვექტორული ფიბრაციის კომპლექსური სტრუქტურების
დეფორმაციის შესახებ

გ.გიორგაძე

მოხსენებაში განხილული იქნება კავშირი შემდეგ სამ სივრცეს შორის: $CP^1 - \{s_1, \dots, s_m\}$ რიმანის ზედაპირის კომპლექსურ სტრუქტურებს, რეგულარული განსაკუთრებულობების მქონე დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებსა და n -კუთხედების კონფიგურაციულ სივრცეებს შორის. უკანასკნელ წლებში ეს სივრცეები ინტენსიური კვლევის საგანია სხვადასხვა მეთოდებით. კერძოდ, გამოკვლეული იქნა რიმან-ჰილბერტის მონოდრომული ამოცანის დადებითად ამოხსნადობის და შლეზინგერის იზომონოდრომულობის პირობები.

მომიჯნავე საკითხების მოკლე მიმოხილვის შემდეგ გამოვთვლით n -კუთხედების კონფიგურაციული სივრცის განზომილებას და ამ შედეგს გამოვიყენებთ რიმან-ჰილბერტის ამოცანებთან დაკავშირებული ანალიზური ინვარიანტების გამოსათვლელად, ამასთან გამოვიყენებთ სიგნატურულ ფორმულას [1],[2],[3].

ლიტერატურა

- [1] G.Giorgadze, Moduli space of complex structure. Journal of Math. Sci., vol. 160, N 6, 2009.
- [2] B. Bojarski,G.Giorgadze, Some analytical and geometrical aspects of stable partial indices. Proc.VIAM, vol. 61-62, N 3, 2012.
- [3] G.Giorgadze, G. Khimshiashvili, Cyclic configuration of spherical polygons, Doklady Math., vol.87, N 3, 2013.